საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

MES 5 21 0001439866

30/12/2021

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თელავი

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 19 აგვისტოს N805818 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N 122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის - წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 24 დეკემბრის N608 დადგენილებისა და უნივერსიტეტის აკადემიურის საბჭოს 2021 წლის 29 დეკემბრის N23 ოქმის N3 საოქმო დადგენილების საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შევიდეს ცვლილება, სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 19 აგვისტოს N805808 ბრძანებაში და 2021-2022 სასწავლო წლის პირველი სემესტრის ადმინისტრირების ვადები სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებისათვის განისაზღვროს შემდეგნაირად:

2021-2022 სასწავლო წლის პირველი სემესტრის სასწავლო პროცესი შეჩერდეს 2022 წლის 3 იანვრიდან 6 იანვრის ჩათვლით და 8-9 იანვარი განისაზღვროს უქმე დღეებად.

2021-2022 სასწავლო წლის პირველი სემესტრის სასწავლო პროცესი განახლდეს 2022 წლის 10 იანვრიდან და სილაბუსით გათვალისწინებული მე-14 და მე-15 კვირა ჩატარდეს 24 იანვრამდე.
2021-2022 სასწავლო წლის ზამთრის სემესტრის სასესიო პერიოდი განისაზღვროს 2022 წლის 24 იანვრიდან 2022 წლის 7 თებერვლამდე.
დამატებით სასესიო პერიოდად განისაზღვროს 2022 წლის 4 თებერვიდან 17 თებერვლამდე.
2021-2022 სასწავლო წლის პირველი სემესტრი დასრულდეს 2022 წლის 21 თებერვალს.
2021-2022 წლის ზამთრის არდადეგები დაიწყოს 2022 წლის 22 თებერვლიდან და დასრულდეს 2022 წლის 27 თებერვალს.
2.დაევალოს უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურს (თ. გიორგაძე) წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
3.დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას (მ. ბეჟანიშვილი) ბრძანების გადაგზავნა უნივერსიტეტის სამსახურებისათვის და ფაკულტეტებისათვის;
4.ბრძანების დანარჩენი პუნქტები დარჩეს უცვლელად;
5.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
6.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

სსიპ –იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
ირმა შიოშვილი